თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 10 მაისი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კოტე რატიანი	– ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ლევან ჭანჭალეიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ვასილ მებურიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი
ირაკლი გიორგაძე	– ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ნოდარ მიქიაშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსის მოადგილე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ბუკიასა და ავტოქარხნის ქუჩებიდან ზ. ჭავჭავაძის ქუჩამდე მისასვლელი გზა №24 საჯარო სკოლის გავლით და ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩის ბოლო მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის (სავარაუდო სიგრძე 1060გრძ.მX6=7100მ^2) და ღია ნიაღვარსადენის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესახებ (საკონკურსო განცხადების №456. 04.05.2012).

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა ორმა პრეტენდენტმა:

1. შ.პ.ს ,,არქმშენი" – 4300 (ოთხიათასსამასი) ლარი დღგ–ს ჩათვლით.
2. შ.პ.ს ,,კარიბჭე" – 4200 (ოთხიათასორასი) დღგ–ს გარეშე.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2012 წლის 10 მაისის 12:30 საათამდე პერიოდით.

შ.პ.ს ,,არქმშენი"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

შ.პ.ს ,,კარიბჭე"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა. კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ირაკლი გიორგაძემ.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტის შეფასება.
შ.პ.ს ,,არქმშენი"–მ მიიღო 38,9 ქულა.
შ.პ.ს ,,კარიბჭე"–მ მიიღი 32,5 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ვასილ მებურიშვილმა.

დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში ბუკიასა და ავტოქარხნის ქუჩებიდან ზ. ჭავჭავაძის ქუჩამდე მისასვლელი გზა №24 საჯარო სკოლის გავლით და ზურაბ ჭავჭავაძის ქუჩის ბოლო მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის (სავარაუდო სიგრძე 1060გრძ.მX6=7100მ^2) და ღია ნიაღვარსადენის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს ,,არქმშენი".

2. ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა (ლევან ჭანჭალეიშვილი) გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ ,,შემსყიდველსა" და ,,მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: _____ კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი _____

ვასილ მებურიშვილი _____

ირაკლი გიორგაძე _____

ნოდარ მიქიაშვილი _____